

პრინცი ჩარლზი პრინც უილიამს მონევას უკრძალავს

პრინცმა ჩარლზმა თავის უფროს ვაჟს, უილიამს, სასტიკად აუკრძალა მონევა – ვის გაუფიცა, ტახტის მემკვიდრე ყოველდღე ნახევარ კოლოფ სიგარეტს ეწეოდეს! ეს საშინელი ამბავი სულ უფლისწულის ცუდი წრის დამსახურება ყოფილა: პოლოსა და ჩოგბურთის თამაშის გარდა მონევაც ასწავლეს. უარესსაც მოგახსენებთ – მისი უმცროსი ძმა, პარიც ეწევა, და ბოროტი ენები ამბობენ, არამარტო სიგარეტსო.

პოლიტიკოსი პორნო ვარსკვლავი

ყოფილი პორნოვარსკვლავი, “ჩიჩოლინა” ცნობილი ილონა შტაღერი, თავისი საერთაშორისო პოლიტიკური კარიერის გაგრძელებას აპირებს. 1987-1992 წლებში ის რადიკალთა პარტიის წარმომადგენელი იყო რომის პარლამენტში და დეპუტატის შიშველი მკერდი ხალხს დღემდე ახსოვს. მაგრამ აპრილში ჩატარებული არჩევნების დროს ჩიჩოლინამ უნგრეთში კანდიდატობისთვის საჭირო 750 ხელმოწერა ვერ მოაგროვა. სამომავლოდ მას მაინც დიდი გეგმები აქვს და ფარ-ხმალს არ ყრის. “მე უკვე ვეზადები 2006 წლის უნგრეთის პარლამენტის არჩევნებისთვის,” განაცხადა მან პრესკონფერენციაზე ბუდაპეშტში.

ქალად ქცეული კატა

ჰოლანდიელი ბავშვების საყვარელი ნიგნის, “მინუსის” კინოვერსია სრული სენსაცია გახდა. ფილმის რეჟისორმა, ვინსენტ ბალმა საინტერესოდ და ხატოვნად გადაიღო პატარა კატის ამბავი, რომელიც ქალად, მინუსად იქცა და თავისი კატური გამოცდილებით განაგრძო ცხოვრება. ზოგი თვისება ბოლომდე კატისა შემორჩა: თევზის უზომო სიყვარული და ძალღების შიში.

ამსტერდამი ბავშვის ტრადიციულ ზეიმს უმასპინძლა

წელს ამსტერდამში ჰომოსექსუალისტების ტრადიციულ ზეიმს შარშანდელთან შედარებით ორჯერ ნაკლები მონაწილე ჰყავდა. ასი ათასი კოსმეტიკით შევსებული, პარიკიანი მამაკაცი ჰოლანდიის დედაქალაქის საზღვაო არხებში, ნავეზე დეფილესს აწყობდა ცნობისმოყვარე პუბლიცისთვის, რომლებიც მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან სწორედ მათ სანახავად შეიკრიბნენ.

უამინდობის გამო, გეები არ იყვნენ ისე შიშვლები, როგორც წინა აღლუმებზე, ამიტომ, აუდიტორია უკმაყოფილო დარჩა. ამის მიუხედავად, სანახაობა ტრადიციული გამოვიდა: მაყურებლები მონაწილეებს საპერო კოცნასა და ბანანებს ესროდნენ, თუმცა, ეს უკანასკნელი ძირითადად, პოლიციელებს ხვდებოდათ.

ოფიციალური მონაცემებით, ჰოლანდიამი ჰომოსექსუალისტთა 50 ათასი ოჯახია დარეგისტრირებული; ხოლო, ყოველთვიურად, ორი-სამი ათასი არატრადიციული ოჯახი იქმნება. როგორც ცნობილია, მათ შარშან შვილის აყვანის უფლებაც კი მოიპოვეს.

სებასტიან ბახი ქრისტუს როლში

ჰარდ-როკ ჯგუფის, Skid Row-ის ყოფილ ვოკალისტს, სებასტიან ბახს ყველა შანსი აქვს ითამაშოს იესო ქრისტეს როლი ვებერის ცნობილი როკ-ოპერის ბროდვეის დადგმაში. ამჟამად, მომღერლის წარმომადგენლები სპექტაკლის პროდიუსერთან მოლაპარაკებებს აწარმოებენ. სპექტაკლს თეატრალურ სცენაზე ნოემბერში დადგამენ.

“იესო ქრისტე სუპერვარსკვლავი” არ იქნება მუსიკოსის დებიუტი თეატრში. სებასტიან ბახმა შარშანწინ მონაწილეობა მიიღო სპექტაკლში “ჯეკილი და ჰაიდი”; კრიტიკოსების გამოხმაურების მიხედვით, მუსიკოსმა ბრწყინვალედ ითამაშა.

Suede რიგაში Suede-party-ზე არ შეუშვას

ასეთი კურიოზული ისტორია გადახდათ ბრიტანელ მუსიკოსებს რიგაში. შაბთს, კონცერტამდე, ბიჭებმა გადანყვიტეს, შეეხედათ კლუბ Kalku varti-ში, სადაც აფიშის მიხედვით, ჯგუფის ფანები Suede before party-ს მართავდნენ. კლუბის დაცვამ მუსიკოსების გვარები საიში რომ ვერ აღმოაჩინა, ისინი შენობაში არ შეუშვა. კლუბში კი, სტუმრებს ჯგუფის სიმღერების კარაოკე უნდა შეესრულებინათ. ამას გარდა, მოგვიანებით სალამოზე საბავშვო ჯგუფი Moon Gringo უნდა გამოსულიყო. ამ ყველაფერმა Suede: რიჩარდ ოუკი, საიმონ ჯილბერტ გილბერტი და ალექს ლი არც ისე გაანაწყენა. კურიოზულმა გაუგებრობამ ისინი ცოტა გაამხიარულა კიდევ, რის შემდეგაც მუსიკოსები რიგის ქუჩებში ლუდის დასაღვად გაემუქრნენ. მეორე დღეს კი იურმალაში ჯგუფმა კონცერტი გამართა.



საქართველოში ქავერი

მ-07

